I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ ან გ

1. ჩამოთვლილთაგან რომელია თავისებურ სახელთა წყვილი?
   ა) მრგვალი, სქელი; ბ) ბეგარა, ქარხანა; გ) ერთი, ოცდაერთი;
2. ჩამოთვლილთაგან რომელია თავისებურ სახელთა წყვილი?
   ა) ღმერთი, ადამიანი; ბ) დრო, ხბო; გ) ლიმონი, ვაშლი;
3. რომელია მართებული ფორმა?
   ა) ამილახვარის; ბ) მებუკის; გ) ჰაინის;
4. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელებია: არავინ, ვერავინ, ნურავინ?
   ა) ჩვენებითის; ბ) განსაზღვრებითის; გ) უარყოფითის;
5. რომელია მართებული ფორმა?
   ა) ესე; ბ) ეგრე; გ) ჩვენსკენ;

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ

6. რა ჰქვია ორი სიტყვის ისეთ შეწყობას ერთმანეთთან, როცა ერთი მათგანი მეორისაგან მოითხოვს სასურველი ბრუნვის ან რიცხვის ფორმას?
   ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
7. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში- „ლეღვის მურაბა“?
   ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
8. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში - „უცებ აცივდა“?
   ა) შეთანხმება; ბ) მირთვა; გ) მართვა;
9. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში- „ლამაზო ქალო“?
   ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;
10. რას ჰქვია რთული წინადადება?
    ა) რთულია წინადადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან.“
    ბ) რთულია წინადადება, თუ იგი ორი ან ორზე მეტი მარტივი წინადადებისაგან შედგება.
    გ) რთულია წინადადება, თუ მასში მხოლოდ ერთგვარი წევრებია;
11. რომელია ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება?
    ა) ანი და სალომე ბიძაშვილები არიან.
    ბ) ერთგული , თვინიერი მსახური იყო მეფისა;
    გ) ეზოებში, გზებზე მეწყერს დიდძალი ტალახი შემოეზიდა.
12. რომელია რთული წინადადება?
    ა) ყველაფერი დაისწავლა, რადგან ბეჯითი იყო.
    ბ) ბაიას ყოველთვის ლამაზ კაბებს უკერავდა.
    გ) სულ წუხდა შვილებსა და შვილიშვილებზე.
13. რომელ წინადადებაშია დასმული მართებულად სასვენი ნიშნები?
    ა) „ძაღლმა იგრძნო უახლოვდებოდა საშიშროება, ამიტომ გაიქცა.“
    ბ) - ძაღლი ჩემი შვილისაა, დღეიდან ჩემი შვილისაა! - ამბობდა დედა.
    გ) - არ ვიცი, უპასუხა დედამ და შვილის თავი მკერდზე მიიკრა.
14. რომელ წინადადებაშია სწორად დასმული სასვენი ნიშანი?
    ა) „შენ, მამაჩემო, რად დარდობ, რამ დაგისველა თვალები?“
    ბ) „ჰეი ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“
    გ) „ვერ დაივიწყებ ვინც გიყვარს, შეყვარებული დარჩები...“
15. როგორი სახისაა დამოკიდებული წინადადება : „ეზოსკენ რომ გადაუხვიეს, უკვე ბნელოდა.“
    ა) განსაზრვრებითი დამოკიდებული;
    ბ) გარემოებითი დამოკიდებული;
    გ) დამატებითი დამოკიდებული;

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ

16. ვინ არის ავტორი ლექსისა ,,ჩემო კარგო ქვეყანავ“?
    ა) ილია ჭავჭავაძე; ბ) ალექსანდრე ჭავჭავაძე; გ) ვაჟა-ფშაველა;
17. ვინ არის ავტორი ლექსისა ,,ხატის წინ“?
    ა) ვაჟა-ფშაველა; ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილი; გ) აკაკი წერეთელი;
18. შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა: ,,ენა მუცელში ჩაუვარდა“ ანუ
    ა) ბევრი ილაპარაკა; ბ) უცებ ავად გახდა; გ) გაჩუმდა;
19. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა დავით გურამიშვილი?
    ა) მე-17 ს.-ში; ბ) მე-18 ს.-ში; გ) მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე;
20. როგორი რითმა ტაეპში:

„აახმაურე სამშობლო,
კარისკარ ჩამოიარე;
ზოგს პურ-მარილზე შეესწარ
და ზოგს უხვევდი იარებს.“

ა) ჯვარედინი; ბ) ინტერვალიანი; გ) პარალელური;